2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სადამრიგებლო კლასის ანგარიში

2022-2023 სასწავლო წლის I სემესტრში კლასში ირიცხება 24 მოსწავლე, 14 გოგონა, 9-ვაჟი. კლასში შექმნილია თბილი და სასიამოვნო გარემო, მორგებული მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. სწავლება მიმდინარეობს ესგ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. კლასში ყველა მასწავლებელი მუშაობს მოსწავლეებში ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობისთვის. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში.

პირველი სემესტრის დასაწყისში მე და ჩემმა მოსწავლეებმა ვისაუბრეთ იმ სირთულეებზე, რომლებიც წამოიჭრა მოსწავლეთა ასაკის მატებასთან ერთდ. ჩამოვაყალიბეთ კლასის საათის ფარგლებში შეხვედრის თემები.

ამ საკითხების გათვალისწინებით მუდმივად ვატარებდი კლასთან შეხვედრებს, კლასის საათებს, განვიხილავდით საინტერესო თემებს, ვაწყობდით დისკუსიებს. კლასი შევახვედრე სპეციალურ პედაგოგს ვერა ხუციძეს, რომელმაც ისაუბრა და საინტერესო ტესტიც ჩაატარა თემაზე-**„სიმორცხე, დაბალი თვითშეფასება“**

ჩატარებულმა კლასის საათებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებს მოსწონთ არასაგაკვეთილო საუბრები, შეუძლიათ არგუმენტირებული მსჯელობა, ანალიზი.

ასევე, ვატარებდი ინდივიდუალურ საუბრებს, როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთანაც. ვთანამშრომლობდი მასწავლებლებთან, რომლებიც შემოდიოდნენ სხვადასხვა საგნით კლასში. ვიღებდი მათგან ინფორმაციას მოსწავლეთა როგორც აკადემიური მოსწრების, ისე დისციპლინის შესახებ და ვაცნობდი მშობლებს.

მიღებულ ინფორმაციას ინდივიდუალურად ვაცნობდი მშობლებს. რამდენჯერმე ჩატარდა მშობელთა კრება პირისპირ.

კლასი აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ღონისძიებეში, პროექტებსა და კონკურსებში:

- 7 ბ კლასის მოსწავლეებმა შოთა ჭოლოკავამ და იაგო არზიანმა შექმნეს მაინკრაფტის კლუბი სკოლაში. ჩაატარეს როგორც შიდა სასკოლო ასევე სკოლებს შორის ჩემპიონატი სახელწოდებით -**„Minecraft build buttle”** პროექტის ფარგლებში მოიწვიეს ქალაქის 5 სხვადსხვა საჯარო სკოლა და გამოავლინეს საუკეთესო მშენებლები მაინქრაფტში. გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და დიპლომები.
- 7ბ კლასის მოსწავლეებმა ანანო ზაქარეიშვილმა, ლიზი გულორდავამ ჩაატარეს შიდა სასკოლო მხიარული შეხვედრა „მელომანი“ და გამოავლინეს გამარჯვებული, გადასცეს შესაბამისი სერტიფიკატი.

- ანა ჭელიძემ, იაგო არზიანმა და ანა კელენჯერიძემ ჩაატარეს მათემატიკური ოლიმპიადა 3-4 კლასებში და გამოავლინეს გამარჯვებულები, გადასცეს შესაბამისი სერტიფიკატები.
- ქუთაისის მერიის მიერ, ორგანიზებულ პროექტ „მეოცნებე ნიამორებში“ წარმატებულად მიიღო მონაწილეობა 7 ბ კლასის მოსწავლემ ანა კელენჯერიძემ, მისი ნაწარმოები **„ფოთოლცვენა“** დაიბეჭდა კიდეც ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ 2022 წლის გამოშვებაში.
- კლასში საახალწლო განწყობის ამაღლების მიზნით და მოსწავლეთა დიდი სურვილით ჩატარდა „საიდუმლო სანტა“-ს ღონისძიება, ბავშვებმა საახალწლო საჩუქრები გადასცეს ერთმანეთ და გაიხალისეს მოახლოებული დღესასწაული.
- 7 ბ კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს **„EDU-პარკის“** პროექტში და სხვადასხვა საგანში, სხვადასხვა კლასებში ჩაატარეს რამდენიმე გაკვეთილი.
- მუსიკის მასწავლებელ ნანა ჭირაქაძის ორგანიზებით, კლასში ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი **„ოქროსფერი შემოდგომა“,** სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ საშემოდგომო ტრადიციებზე.
- 7ბ კლასის 4 მოსწავლე მონაწილეობას იღებდა ფესტივალ „ინოვაციას“ მიერ ორგანიზებულ სათეატრო კონკურსში, სკოლიდან გასულ სპექტაკლ-„იავნანამ რა ჰქნა“-ში. შეასრულეს თავიანთი როლი საკმაოდ დამაჯერებლად, მათ შორის ორი მოსწავლე მთავარ როლსაც ასრულებდა.

2022-23 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლოს მიღებული შედეგები ასეთია:

ყველა მოსწავლე წარმატებულია(5 და მაღალი ქულა)-23

ყველა საგანში აქვს 10 ქულა: 3 მოსწავლეს;
9-10 ქულა: 2 მოსწავლეს.

5-6-7-8 ქულა: 18 მოსწ.

4-3-2-1: 1 მოსწავლეს 1 საგანში აქვს 4 ქულა

მომავალი სემესტრიდან იმედია, მოსწავლეთა მონდომება კიდევ უფრო გაიზრდება და უფრო მეტ წარმატებასაც მოუტანენ, როგორც კლასს ასევე ჩვენს სკოლასაც.